ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

1. **ტელევიზორი : ეკრანი**

ა) რითმა : აფორიზმი
ბ) გემი : გემბანი
გ) კოვზი: ლითონი
დ) მატარებელი : ვაგონი

2. **ზამთარი : სიცივე**

ა) მეხი :ელვა
ბ) მიწისძვრა : ნგრევა
გ) ზვირთი : ქაფი
დ) ვიზიტი : მონატრება

3. **ქარი : ამქარი**

ა) ბია : კომში
ბ) მოხსნა : ამოხსნა
გ) ბალახი : კორდი
დ) გვრიტი: გვირისტი

4. **რიცხვი : ნატურალური**

ა) ფილმი : ტიტრი
ბ) სამკუთხედი : წვერო
გ) მდინარე : რიონი
დ) თეატრი: პარტერი

5. **ჩაქუჩი : ჩაჭედება**

ა) ქანჩი : ლურსმანი
ბ) ბორბალი : ბრუნვა
გ) სალაშინი : გასალაშინება
დ) ზარბაზანი : სროლა

6. **ალპინისტი : მთა**

ა) ნადირი : ფაუნა
ბ) კოსმონავტი : კოსმოსი
გ) ადამიანი : სახლი
დ) მანქანა : ძრავა

წინადადებების შევსება

7. ხელოვნება ——————— სინამდვილეს, ——————------ , რაც არის სინამდვილე. ხელოვანი —— და ცდილობს, ესტეთიკური ხილვით დაგვანახოს ის რაც ———.

(ა) მართლაც ასახავს / რადგან ყოველთვის იმას გამოხატავს / სცილდება რეალურ მოვლენათა ფარგლებს / სინამდვილეშია
(ბ) ფოტოგრაფიულად არ ასახავს / თუმცა, არასდროსაა მხოლოდ ის / ზუსტად აღწერს რეალურ მოვლენებს / სინამდვილეშია
(გ) მართლაც ასახავს / მაგრამ / არასდროსაა მხოლოდ ის / სცილდება აღქმად მოვლენათა ფარგლებს / სინამდვილეში არ არის
(დ) ფოტოგრაფიულად არ ასახავს / რადგან ყოველთვის იმას გამოხატავს / ზუსტად აღწერს აღქმად მოვლენებს / სინამდვილეში არ არის

8. ზოგიერთი ტექსტი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს „ასაბუთებს“, ——— იდეების ბრძოლა. იდეების სამყაროში —— , ბრძოლა ——— ადამიანებს შორის, რომლებიც ამ იდეებს აღიარებენ, რის გამოც ბრძოლის შედეგი, ისევე, როგორც მიზეზი, ———.

(ა) შესაბამისად, ეს არის / იშვიათად იმართება ბრძოლა, თუმცა / არ იმართება / უშუალოდ უკავშირდება ამ იდეების შინაარსს
(ბ) მაგრამ ეს არის / ხშირია ბრძოლა, თუმცა / არ იმართება / ძალზე შორსაა ამ იდეების შინაარსისაგან
(გ) შესაბამისად, ეს არის / ხშირია ბრძოლა / იმართება მხოლოდ / უშუალოდ არ უკავშირდება ამ იდეების შინაარსს
(დ) მაგრამ ეს არ არის / არ იმართება ბრძოლა / იმართება / ძალზე შორსაა ამ იდეების შინაარსისაგან

9. სიტყვა „მარტივი“ გულისხმობს ნაწილთა არარსებობას. —— , მარტივი ——— საზოგადოებას, რომელიც ——— საზოგადოებებს, ვიდრე თავადაა; რომელიც არა მხოლოდ ამჟამადაა დაყვანილი —— სეგმენტამდე, არამედ —— მანამდე არსებული სეგმენტაციისა.

(ა) მაშასადამე / უნდა დავარქვათ ყოველ / არ შეიცავს სხვა , იმაზე მარტივ / ერთადერთ / არც შეიცავს არავითარ ნიშანს
(ბ) მიუხედავად ამისა / შესაძლებელია ვუწოდოთ / არ შეიცავს სხვა, იმაზე მარტივ / ერთადერთ / არც შეიცავს არავითარ ნიშანს
(გ) მიუხედავად ამისა / შეუძლებელია დავარქვათ ყოველ / შეიცავს სხვა, იმაზე მარტივ / რამდენიმე / შეიცავს კიდევ უტყუარ ნიშნებს
(დ) მაშასადამე / უნდა დავარქვათ / შეიცავს სხვა, იმაზე მარტივ / რამდენიმე / შეიცავს კიდეც უტყუარ ნიშნებს

ლოგიკა

10. მოცემულია წინადადება:
    ზოგიერთი სასოფლო - სამეურნეო კულტურა ადვილად მოსაყვანიცაა და მომგებიანიც.
    ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი <u>ეწინააღმდეგება</u> მოცემულ წინადადებას?

    ა) ზოგიერთი სასოფლო -სამეურნეო კულტურა რთულად მოსაყვანია და მომგებიანი.
    ბ) არც ერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელიც მომგებიანი არაა, არ არის ადვილად მოსაყვანი.
    გ) ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურა მომგებიანია.
    დ) არც ერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელიც მომგებიანია არ არის ადვილად მოსაყვანი.

11. მოცემულია სამი დებულება:
    - ყველა თუთიყუში ჭრელია.
    - ზოგიერთი თუთიყუში ლაპარაკობს.
    - არც ერთი მოლაპარაკე არსება არ არის მორცხვი.

ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა <u>გამომდინარეობს</u> ამ დებულებებიდან:

ა) ზოგიერთი მორცხვი არსება არ არის ჭრელი.
ბ) არც ერთი თუთიყუში არ არის მორცხვი.
გ) არსებობს ჭრელი არსება, რომელიც არ არის მორცხვი
დ) არსებობს მორცხვი არსება, რომელიც არ არის თუთიყუში.

12. მოცემულია წინადადება:

„ტყუილია, რომ დედამიწაზე დინოზავრი არასოდეს ბინადრობდა“ .
ჩამოთვლილთაგან რომელია მოცემული წინადადების ტოლფასი?

ა) ტყუილია, რომ დედამიწაზე დინოზავრი რაღაც დროის განმავლობაში ბინადრობდა
ბ) მართალია, რომ დედამიწაზე დინოზავრი რაღაც დროის განმავლობაში მაინც ბინადრობდა.
გ) ტყუილია, რომ დედამიწაზე დინოზავრი ყოველთვის ბინადრობდა.
დ) დედამიწაზე დინოზავრი ყოველთვის ბინადრობდა.

13. კალათბურთის გუნდის მწვრთნელმა რვა მოთამაშიდან, რომელთა ნომრებია №1, №2, ..., №8 უნდა ამოირჩიოს ხუთკაციანი სასტარტო შემადგენლობა. ამასთან მწვრთნელმა წინასწარ იცის, რომ:

- №1 და №6 ერთად არ უნდა მოხვდნენ სასტარტო შემადგენლობაში.
- თუ სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა №3, მაშინ უნდა მოხვდეს №5 -იც.
- სასტარტო შემადგენლობაში აუცილებლად უნდა მოხვდეს ორი მოთამაშიდან №4 და №6 ერთი მაინც.

მოცემული პირობების მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სასტარტო შემადგენლობის შერჩევაა შესაძლებელი?

ა) №2, №3, №5, №7 , №8

ბ) №4, №5, №6, №7, №8

გ) №1, №4, № 5, №6, №8

დ) №1, №2, №3, №4, №7

წაკითხული ტექსტის გააზრება

მოვლენების მართალი და სანდო მიმოხილვის მცდელობას, რაც იმთავითვე ჟურნალისტიკის უმთავრესი დანიშნულება იყო, დღეს ე.წ. მტკიცებების ჟურნალისტიკა ენაცვლება. თანამედროვე *24-საათიანი ახალი ამბების* მედიაკულტურაში ახალი ამბები უფრო და უფრო ფრაგმენტული ხდება. მედია საზოგადოების ინტერესების დამცველის როლს ვერ ასრულებს.

ჟურნალისტი უნდა ცდილობდეს, ნამდვილი ინფორმაცია გამიჯნოს ნებისმიერი დეზინფორმაციის, მცდარი ინფორმაციისა და თვითრეკლამირებისაგან და შემდეგ საზოგადოებას რეაგირებისა და სიმართლის გარკვევის საშუალება მისცეს. ფილოსოფოსების აზრით, სიმართლე ორი რამით მოწმდება: ერთია ფაქტების შესაბამისობა, მეორე - თანმიმდევრულობა. თანმიდევრულობა ჟურნალისტური სიმართლის საბოლოო გამოცდა უნდა იყოს. საზოგადოებას ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი კი არა, მთლიანი სურათი სჭირდება.

ჟურნალისტური სიმართლე უფრო მეტია, ვიდრე სიზუსტე. მშრალი სიზუსტე, შეიძლება, თავისთავად იყოს მომხდარი ფაქტის გარკვეული დამახინჯება; ვგულიხსმობთ ისეთ ინფორმაციას,

რომელიც ფაქტობრივად სწორია, მაგრამ არსებითად - უადგილო. ამის მაგალითად ჟურნალისტიკაში ასახელებენ ისეთ მასალებს, სადაც უმცირესობებსა თუ ეთნიკურ კუთვნილებაზე უაზრო ხაზგასმა ყალბი სტერეოტიპების შექმნას იწვევს.

ზემოთ თქმული როდი ნიშნავს იმას, რომ სიზუსტეს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. სიზუსტეს, ალბათ, ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის გადმოცემის პირველ საათებში. სწორედ ამ დროს ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი იმ კონტექსტის მიხედვით, რომელშიც ინფორმაციაა წარმოდგენილი, გამოცდილი ჟურნალისტი, ჰოდინგ კარტერი აღნიშნავს, რომ ეს დროის ის მონაკვეთია, როდესაც ხელისუფლებას შეუძლია, საზოგადოებრივ აზრზე უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინოს - „სამი დღე რომ მისცე, ხელისუფლება უპრობლემოდ შეიმუშავებს რაიმე მოვლენისათვის კონტექსტს და შეძლებს ამ მოვლენისადმი საზოგადოების დამოკიდებულების გაკონტროლებას“.

ჟურნალისტური სიმართლე რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენია. თავდაპირველი ინფორმაციის მიწოდებისას ჟურნალისტი შეიძლება ვერ გასცდეს სიზუსტის ზედაპირულ დონეს. მაგრამ შემდგომში თავდაპირველ ინფორმაციაზე აიგება მეორე, სადაც გასწორდება პირველში დაშვებული შეცდომები და შეივსება ხარვეზები. მეორეს მოჰყვება მესამე და ასე კონტექსტი გადადის ყოველ მომდევნო შრეზე. ამ გზით წარმოჩენილი სიმართლე მრავალწახნაგოვანია.

დღეს სიმართლის მოთხოვნილება განსაკუთრებით ძლიერია, რადგან ცრუ ინფორმაციის გავრცელების ალბათობამ საგრძნობლად იმატა. მოქალაქეები მონაცემთა უზარმაზარ ნაკადს ეჯახებიან და უჩნდებათ ისეთი საინფორმაციო წყაროების არსებობის მოთხოვნილება, რომლებიც ინფორმაციის შემოწმებასა და გაფილტვრაში, მნიშვნელოვანი საკითხის გამოყოფაში დაეხმარება.

ზოგიერთმა ჟურნალისტმა „სიმართლის შემცვლელები“ შემოგვთავაზა:*სამართლიანობა* და *ბალანსი.* სამართლიანობა საკმაოდ აბსტრაქტული ცნებაა, ბევრად უფრო სუბიექტური, ვიდრე სიმართლე. სიმართლე, ყველა სირთულის მიუხედავად, შემოწმებადი მაინცაა. ასევე, ძალიან სუბიექტურია ბალანსიც. მხარეთა შესახებ დაბალანსებული ინფორმაციის მოწოდება შეიძლება სულაც არ იყოს სამართლიანი თავად სიმართლის მიმართ, თუ მხარეებს მართლაც თანაბარი წონა არ გააჩნიათ. მაგალითისათვის გავიხსენოთ გლობალური დათბობის უკვე აღიარებული ფაქტი. მეცნიერთა დიდი ნაწილი ამტკიცებდა, რომ გლობალური დათბობა რეალობაა, ნაწილი კი ამას უარყოფდა. პრესა კი ცდილობდა, ორივე თვალსაზრისისთვის თანაბარი წონა მიენიჭებინა.

ძნელია, წარმოვიდგინოთ მკითხველი თუ მსმენელი, რომელიც ასწორებს და გადაარჩევს ჩახლართულ, გაუფილტრავ ინფორმაციას. ჭარბი ინტერპრეტაცია მხოლოდ დაბნეულობას თუ გამოიწვევს. ინტერპრეტაცია გადარჩევის პროცესის ნაწილად უნდა იქცეს მას შემდეგ, რაც ფაქტები დადგინდება. შეცდომაა ინტერპრეტირების დაწყება, ვიდრე არ დაზუსტდება ის, რაც რეალურად მოხდა. მედია უნდა გათავისუფლდეს ჭორების, ცილისწამებების, უმნიშვნელო დეტალებისა და შეთხზული ისტორიებისაგან და ყურადღება მიაპყროს იმას, რაც მართალი და მნიშვმელოვანია. ინფორმაციის შემოწმება და გადარჩევა ჟურნალისტის, როგორც საზოგადოების დამცველის, ახალი როლის საძირკველია.

ისტორიკოს გორდონ ვუდს თუ დავესესხებით, „შესაძლოა, ისტორიკოსებმა ვერასდროს წარმოაჩინონ სიმართლე სრულყოფილად, მაგრამ ზოგი უფრო ახლოს მივა სიმართლესთან, ვიდრე სხვა, უფრო სრულად, უფრო ობიექტურად და პატიოსნად დაწერს ისტორიას და ჩვენ ამას მივხვდებით“. ფაქტობრივად, ამასვე ამბობენ ისინიც, ვისაც საზოგადოებრივ სფეროში უმუშავია: ისეთი ახალი ამბების მოპოვებას, რომელიც სიმართლის სრულ ვერსიას უახლოვდება, რეალური შედეგი მოაქვს.

14. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) წარმოაჩინოს სიზუსტის დიდი მნიშვნელობა ჟურნალისტის მიერ მოვლენათა წარმოდგენის საწყის ფაზაში.
(ბ) ხაზი გაუსვას ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი აზრის კონტროლის შესაძლებლობას.
(გ) გამოკვეთოს ჟურნალისტის, როგორც საზოგადოების ინტერესების დამცველის როლი.
(დ) კრიტიკულად შეაფასოს მედიაკულტურაში ახალი ამბების ფრაგმენტულობის ტენდენცია.

15. ტექსტიდან გამომდინარე, რას მოითხოვს ავტორი ჟურნალისტისაგან?
(ა) ინფორმაციის დაბალანსებას
(ბ) თანამიმდევრულობას
(გ) ინფორმაციის ინტერპრეტირებას
(დ) მასალის მრავალფეროვნებას

16. ჩამოთვლილთაგან რომელ თვალსაზრისს იზიარებს ავტორი?

(ა) ჟურნალისტი ყოველთვის სიზუსტეს უნდა ჩაეჭიდოს და უმნიშვნელო დეტალებიც კი გადმოსცეს.

(ბ) ჟურნალისტის მიერ ახალი ამბების თავიდანვე ინტერპრეტირება სწორი და სამართლიანი პოზიციაა.
(გ) ჟურნალისტური სიმართლე, სიზუსტის დაცვის შესაძლებლობისაგან განსხვავებით, დროთა განმავლობაში იკვეთება.
(დ) მკითხველს თუ მსმენელს საშუალება უნდა ჰქონდეს, თავად გადაარჩინოს ინფორმაციის დიდი ნაკადი.

17. ავტორი განიხილავს გლობალური დათბობის მაგალითს, რათა

(ა) დაადასტუროს, რომ საზოგადოებას შეუძლია ობიექტურად შეაფასოს, ვინ უფრო ახლოს მივიდა სიმართლესთან.
(ბ) გამოკვეთოს ჟურნალისტიკაში თანამიმდევრულობის აუცილებლობა.
(გ) გაგვაცნოს ჟურნალისტური სიმართლის წინააღმდეგობრივი ხასიათი.
(დ) კრიტიკულად შეაფასოს ჟურნალისტიკაში ინფორმაცის დაბალანსების საკითხი.

18. თეზისს - *სიმართლის სრულად წარმოჩენა რთულია, თუმცა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია,* - ავტორი ადასტურებს

(ა) სიმართლის შესახებ ფილოსოფოსების ნააზრევს დამოწმებით.
(ბ) იმ მასალის კომენტარით, რომელიც უმცირესობათა თემას ეხება.
(გ) გამოცდილი ჟურნალისტის, ჰოდინგ კარტერის მოსაზრების გაცნობით.
(დ) ისტორიკოს გორდონ ვუდის მოსაზრებასთან პარალელის გავლებით.

19. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ არის</u> მართებული ტექსტის მიხედვით?

(ა) დღეს აუდიტორია ჟურნალისტისაგან მოითხოვს საინფორმაციო ნაკადის გაფილტვრას და მნიშვნელოვანი საკითხის გამოყოფას.

(ბ) ჟურნალისტი ამბის ობიექტურად დაბალანსებას ვერ შეძლებას, თუ მხარეებს თანაბარი წონა არ გააჩნიათ.

(გ) ფაქტების შესაბამისობაზე დაკვირვებით, საზოგადოებას ჟურნალისტური სამართლის შემოწმება შეუძლია.

(დ) საზოგადოების ინტერესების დასაცავად მედიამ ახალ ამბებს მეტი კონტექსტი და ინტერპრეტაცია უნდა შეჰმატოს.

20. ჩამოთვლილთაგან <u>ყველაზე მეტად</u> რომელი შეეფერება ტექსტს სათაურად?

(ა) ექსკურსია მედიაკულტურის ისტორიაში

(ბ) ტრადიციული და თანამედროვე ჟურნალისტიკა

(გ) სიმართლე თანამედროვე ჟურნალისტიკაში

(დ) ფაქტი და სიზუსტე ჟურნალისტიკაში

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ ქვემოთ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდო პასუხებიდან უნდა შეუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი, ისე, რომ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს.

21. ინოვაცია : სიახლის დანერგვა

კონსენსუსი:

ა) რჩევის მიცემა
ბ) ხელის შეწყობა
გ) თანხმობის მიღწევა
დ) შესწორების შეტანა

22. აბრევიატურა : ვრცელი

აბსურდული:

ა) აზრიანი
ბ) კოდირებული
გ) უაზრო
დ) უსაფუძვლო

23. ადაპტაცია : გარემო პირობები

აკლიმატიზაცია:

ა) პროგნოზი
ბ) ჰავა
გ) ამინდი
დ) ტენიანობა

24. კარანტინი : იზოლაცია

აკუმულაცია:

ა) დაკარგვა
ბ) დაგროვება
გ) მოთმინება
დ) აკრძალვა

25. ავტოკრატია : დემოკრატია

ლოკალური:

ა) ვიწრო
ბ) იგნორირებული
გ) ჰარმონიული
დ) გლობალური

25. ტრანსფორმაცია : უცვლელი

ფიასკო:

ა) ფორმირებული
ბ) გამარჯვებული
გ) შემცდარი
დ) შეგუებული

წინადადებების შევსება

27. მეცნიერება ———— სამყაროს მატერიალურობას, ბუნების კანონთა ზოგადსა და საყოველთაო ხასიათს, ————გარდაქმნის ბუნებას, სახეს უცვლის საზოგადოებას, ათასგვარი ცრურწმენის საუკუნოვანი არტახებისაგან ————. და მაინც, მის ძალმოსილებას ————.

(ა) ხელს უწყობს / იშვიათად იჭრება მოვლენათა სიღრმეში / ათავისუფლებს ადამიანის აზრს. / ზღვარი არ აქვს.

(ბ) ამტკიცებს / თამამად იჭრება მოვლენათა სიღრმეში / ათავისუფლებს ადამიანის აზრს / თავისი ზღვარი აქვს.

(გ) ქმნის / ყოველთვის იჭრება მოვლენათა სიღრმეში / ბოჭავს ადამიანის აზრს / დიდი ძალა აქვს.

(დ)ამტკიცებს / არ იჭრება მოვლენათა სიღრმეში / ათავისუფლებს პიროვნებას. / ზღვარი არ აქვს.

28. ფაქტები, მეცნიერების ,,არსობის პური“, _____ზუსტი კვლევა-ძიებისთვის, როგორც სიცოცხლისათვის - წყალი, როგორც სუნთქვისთვის ჰაერი. _____ წერს რუსი ფიზიოლოგი პავლოვი, ფრთა ვერასოდეს ააფრენდა ფრინველს ცაში, _____ რომ არ ემყარებოდეს. ფაქტები სწავლულის ჰაერია. უიმათოდ ის _____ მაღლა აფრენას.“

ა) ისევეა აუცილებელი / მთელი თავისი სრულქმნილების მიუხედავად_/ ჰაერს / ვერასოდეს ვერ შესძლებდა

ბ) ნაკლებადაა საჭირო / სრულყოფილების მიუხედავად / ჰაერს / ვერ შესძლებდა

გ) სრულიად არაა აუცილებელი / მიუხედავად ამისა / კუნთებს / შესძლებს

დ) აუცილებელია / ანალოგიურად / ფრინველს / შესძლებს

29. განათლება პრობლემის „წამომჭრელი“ უნდა იყოს. ის უნდა უარყოფდეს „კომუნიკეებს“ და ხელს უწყობდეს _____. მაშასადამე, ის უნდა _____ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებული იერარქიის _____ საპირისპირო პოლუსების _____.

ა) დისციპლინის გამყარებას / ცდილობდეს / შენარჩუნებას / კიდევ უფრო დაშორებით.

ბ) კომუნიკაციას / იწყებოდეს / დაძლევით / დაახლოებით.

გ) მოსწავლის გონებრივ განვითარებას / იწყებოდეს / შენარჩუნებით / დაახლოებით.

დ) აზროვნების პროცესს / ზრუნავდეს / გამყარებაზე / კიდევ უფრო დაშორებაზე.

30. შეხედულება, რომლის თანახმად ნებისმიერი სოციალური შეზღუდვა ——— , ადამიანის უტოპიურ და არარეალისტურ გაგებას ემყარება. ——— , რომ სოციალური ინსტიტუტები ——— .

(ა) ბოროტებაა / თუმცა, მეორეს მხრივ, ისიც აშკარაა / ზოგიერთ შემთხვევაში ინდივიდს ზედმეტად მკაცრ შეზღუდვებს უწესებს

(ბ) სასიკეთოა / შესაბამისად, არც ისაა სწორი / ხანდახან მაინც უწესებს ინდივიდს ზედმეტად მკაცრ შეზღუდვებს

(გ) სასიკეთოა / თუმცა, მეორე მხრივ, ისიც აშკარაა / ბევრ შემთხვევაში იდნივიდს ზედმეტად მკაცრ შეზღუდვებს უწესებს

(დ) ბოროტებაა / შესაბამისად, არც ისაა სწორი / თითქმის არასოდეს უწესებს ინდივიდს ზედმეტად მკაცრ შეზღუდვებს

ლოგიკა

31. 8 მეგობარს ოპერის თეატრის აბონემენტი აქვს. მათი ადგილებია პირველი (A) რიგის A1, A2, A3, A4 და მეორე (B) რიგის B1, B2, B3 და B4 სკამები. დღევანდელ სპექტაკლს ესწრება 6 მათგანი. ამასთანავე ვიცით, რომ

- ერეკლე ზის ზუსტად გიორგის წინ
- სკამი A2 ცარიელია
- დათო <u>არ ზის</u> ანის გვერდით
- თორნიკე ზის A4 სკამზე
- ნატო <u>არ ზის</u> B4 სკამზე



ჩამოთვლილთაგან რომელია B რიგის ადგილებზე მეგობრების დასაშვები განლაგება?

	B1	B2	B3	B4
ა)	გიორგი	ნატო	დათო	ანი
ბ)	ანი	გიორგი	დათო	ნატო
გ)	თორნიკე	ნატო	გიორგი	დათო
დ)	გიორგი	ანი	ნატო	დათო

32. მოცემულია:

- ჟანგბადის არსებობა წვის აუცილებელი პირობაა

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადებაა ამ მტკიცების ტოლფასი?

(ა) თუ არსებობს ჟანგბადი, ხდება წვა

(ბ) თუ ჟანგბადი არ არსებობს, არ ხდება წვა

(გ) თუ წვა არ ხდება, არ არსებობს ჟანგბადი

(დ) მხოლოდ წვა მიგვინიშნებს ჟანგბადის არსებობაზე

33. მკვლევართა დაკვირვებით, B საწარმოს თანამშრომლებთან შედარებით, შრომით კმაყოფილებას უფრო მეტად განიცდიან A საწარმოს თანამშრომლები, რომლებსაც უხდებათ სხვადასხვა ტიპის სამუშაოს შესრულება. ამის საფუძველზე მკვლევარებმა ივარაუდეს, რომ **სამუშაოს მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად განაპირობებს შრომით კმაყოფილებას.**

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი <u>აყენებს ეჭვქვეშ</u> ამ ვარაუდს?

(ა) B საწარმოსთან შედარებით, A საწარმო უფრო ფართო ასორტიმენტის პროდუქციას სთავაზობს მომხმარებელს

(ბ) B საწარმოსთან შედარებით, A საწარმოში გაცილებით მეტი თანამშრომელია დაკავებული მისთვის საინტერესო სამუშაოს შესრულებით

(გ) A საწარმოს თანამშრომლებთან შედარებით, B საწარმოს თანამშრომელთა მეტი რაოდენობაა ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში

(დ) A საწარმოს პროდუქციასთან შედარებით, B საწარმოს პროდუქცია მეტი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებელთა შორის

34. მოგზაური შეხვდა კუნძულის სამ მობინადრეს - A-ს, B -ს და C-ს,რომელთაგან ერთ-ერთი რაინდია და ყოველთვის სიმართლეს ამბობს, მეორე პოლიტიკოსია და ყოველთვის ცრუობს, ხოლო მესამე მოქალაქეა და ხან სიმართლეს ამბობს და ხან ტყუილს. შეკითხვაზე, თუ ვინ ვინ იყო მათ შორის მობინადრეებმა უპასუხეს:

A: C რაინდია.
B: მე მოქალაქე არ ვარ.
C: B პოლიტიკოსი არ არის.
რომელია მოქალაქე და რომელი - რაინდი?

ა) C მოქალაქეა, A - რაინდი.
ბ) B მოქალაქეა, A - რაინდი.
გ) Aმოქალაქეა, B - რაინდი.
დ) C მოქალაქეა, B - რაინდი.

წაკითხული ტექსტის გააზრება

წინა აზიაში ადამიანმა მესაქონლეობასა და მცენარეების კულტივირებას პირველად 9-10 ათასი წლის წინ მიჰყო ხელი, როდესაც დედამიწაზე გამყინვარების ბოლო ტალღა დასრულდა; მან მოიყვანა ხორბალი და ქერი, მოაშინაურა გარეული ცხვარი - მუფლონი და გარეული თხა - ნიამორი, აგრეთვე, ტავროსის გარეული ხარი და გარეული ღორი, შესაძლოა, გარეული იხვი და ბატიც. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ხორბლის კულტურამ 8 ათასი წლის წინ მიაღწია საბერძნეთს, დასავლეთ თურქეთსა და კავკასიას. შემდეგ კი გავრცელდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთის დანარჩენ ტერიტორიაზე. შესაძლოა, რომ ხორბლის კულტურასთან ერთად კავკასიაში გავრცელდნენ შინაური ცხოველები და ფრინველები: ცხვარი, თხა, ძროხა, ძაღლი, იხვი და ბატი.

მიიჩნევენ, რომ ადამიანმა პირველად მგელი მოაშინაურა. მისი სახეცვლილი შთამომავალი ძაღლია. ძაღლის მოშინაურების პერიოდზე მეცნიერთა შორის თანხმობა არ არსებობს. სავარაუდოდ, 50 ათასი წლის წინ, როდესაც ადამიანმა ავსტრალია აითვისა, ძაღლი მას უკვე თან ახლდა. ამ ძაღლის გაველურებული სახეობა დინგოს სახელით არის ცნობილი. ზოგი მიიჩნევს, რომ მგლის მოშინაურების შემდეგ 100 ათას წელზე მეტი გავიდა. ვარაუდობენ იმასაც, რომ აფრიკიდან ევრაზიაში გადმოსულ ადამიანებს უკვე ძაღლი მოჰყვებოდა. სხვა ვერსიის მიხედვით, ძაღლის ყველა თანამედროვე ჯიში იმ მგლის შთამომავალს წარმოადგენს, რომელიც ჩინეთში მოაშინაურეს 15 ათასი წლის წინ, თუმცა ეს ვერსია მხოლოდ მიტოქონდრიული დნმ-ის კვლევის მონაცემებს ეფუძნება. თანამედროვე კავკასიური ნაგაზის მიტოქონდრიული დნმ ჩინური მგლების (ან ძაღლების) დნმ-თან უფრო ახლოს დგას, ვიდრე კავკასიური ან წინააზიური მგლების დნმ-თან, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ წინა აზიაში მგლის მოშინაურება არ ხდებოდა.

ბოლო ათწლეულის გენეტიკურმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ცხოველების მოშინაურება წინა აზიისაგან დამოუკიდებლად შორეულ აღმოსავლეთშიც ხდებოდა, კერძოდ ჩინეთსა და მდინარე ინდის დაბლობში, ისევე როგორც წინა აზიაში, აქაც მოაშინაურეს გარეული ხარი ზებუ, ცხვარი, ღორი და კამეჩი. გარდა ამისა, ინდოჩინეთში მოაშინაურეს გარეული ქათამი, რომელიც ევროპასა და დასავლეთ აზიაში მანამდე არ იყო მოშინაურებული. 3-4 ათასი წლის წინ შინაური ქათამი გაჩნდა ხმელთაშუაზღვისპირეთსა და წინა აზიაში. ალბათ, კავკასიაშიც ეს ფრინველი მაშინ გამოჩნდა. მაგალითად, აღმოსავლური ხარისა და ძროხის ჯიში ზებუ გავრცელდა დასავლეთისკენ - აზერბაიჯანიდან აფრიკამდე. აფრიკაში ის წინააზიურ ჯიშებს შეერია, სამხრეთ კავკასიაში კი ინდური და წინააზიური ჯიშების საქონელი გამიჯნული დარჩა. მაგალითად, სამხრეთ აზერბაიჯანში ზებუსნაირი საქონელი ჭარბობს, ხოლო დასავლეთ კავკასიაში გავრცელებულ საქონელს ზებუსთან არაფერი აქვს საერთო.

დაახლოებით 5-6 ათასი წლის წინ, ყორღანული კულტურის განვითარების პერიოდში, კავკასიისა და შავი ზღვის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთ ევროპის სტეპში ადამიანმა ბრინჯაოს დამუშავება ისწავლა და ცხენი მოაშინაურა. შავიზღვისპირეთის სტეპიდან ცხენი გავრცელდა კავკასიაში, შუა აზიასა და ცენტრალურ ევროპაში, ხოლო იქიდან ევრაზიის სხვა რეგიონებშიც.

შუა საუკუნეებში ჩინეთიდან ევროპაში შემოვიდა აბრეშუმის ჭია. ევროპაში აბრეშუმის კულტურის გავრცელებას უკავშირებენ მონღოლების ზესახელმწიფოს შექმნას, რომელმაც ევრაზიის დიდი ნაწილი დაიკავა.

35. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება დასტურდება ტექსტში?

ა) გენეტიკურმა კვლევებმა დაადასტურა აზერბაიჯანსა და დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული საქონლის ნათესაობა.
ბ) ქათამი ინდოჩინეთში უფრო ადრე მოაშინაურეს, ვიდრე ის ევროპასა და დასავლეთ აზიაში გამოჩნდა.
გ) არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ხორბლის კურტურის მოყვანა პირველად დაიწყეს საბერძნეთში, დასავლეთ თურქეთსა და კავკასიაში.
დ) აბრეშუმის ჭია ევროპაში მანამდე გავრცელდა, ვიდრე მონღოლები ევრაზიას დაიპყრობდნენ.

36. ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მოსაზრებაა <u>მცდარი</u> ?

ა) სავარაუდოა, რომ აფრიკიდან ევრაზიაში ადამიანები ძაღლთან ერთად მოვიდნენ.
ბ) სავარაუდოდ, შინაური ცხოველები და ფრინველები კავკასიაში 8 ათასი წლის წინ ხორბლის კულტურასთან ერთად გავრცელდნენ.
გ) ადამიანმა ავსტრალია 50 ათასი წლის წინ აითვისა.
დ) გარეული ხარი ზებუ წინა აზიიდან ჩინეთში 9-10 ათასი წლის წინ გავრცელდა.

37. მგლის მოშინაურების შესახებ გამოთქმული რომელი მოსაზრება გვხვდება ტექსტში?

ა) ადამიანმა ველური ძაღლი დინგო ავსტრალიაში ორმოცდაათი ათასი წლის წინ მოაშინაურა.
ბ) მიტოქონდრიული დნმ-ის კვლევის საფუძველზე მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ პირველად მგელი ჩინეთში მოაშინაურეს.
გ) სავარაუდოა, რომ კავკასიაში კავკასიური ნაგაზის გავრცელება ცხენის მოშინაურებასთად ერთად მოხდა.
დ) კავკასიური ნაგაზისა და ჩინური მგლის მიტოქონდრიული დნმ-ის მსგავსების საფუძველზე ვერ დავასკვნით, რომ წინა აზიაში მგლის მოშინაურება არ ხდებოდა.

38. კავკასიაში გავრცელებული ცხოველების შესახებ გამოთქმული რომელი მოსაზრება დასტურდება ტექსტში?

ა) სამხრეთ კავკასიაში წინააზიური და ინდური ჯიშის საქონელი ერთმანეთს შეერია.
ბ) კავკასიაში, სავარაუდოდ, შინაური ქათამი 3-4 ათასი წლის წინ გავრცელდა.
გ) კავკასიაში 9-10 ათასი წლის წინ გავრცელდნენ შინაური ცხოველები - ძაღლი, ცხვარი, თხა, ძროხა.
დ) დასავლეთ კავკასიაში ფართოდ გავრცელდა ჩინეთში მოშინაურებული ძროხის სახეობა ზებუ.

39. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს მართებულად მიმართებას I და III აბზაცებს შორის?
ა) III აბზაცში კრიტიკულად არის განხილული I აბზაცში წამოჭრილი საკითხი.
ბ) I აბზაცში წამოჭრილია საკითხი, რომლის კონკრეტული მაგალითები განხილულია III აბზაცში.
გ) I და III აბზაცებში განხილულია ერთმანეთის გამომრიცხავი მეცნიერული მოსაზრებები ერთ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი მაგალითების მოხმობით.
დ) I და III აბზაცებში განხილულია სხვადასხვა მეცნიერული თვალსაზრისი ერთ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი მაგალითების მოხმობით.

40. კავკასიისა და ევროპის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

ა) ცხვარი და თხა პირველად კავკასიასა და ევროპაში მოაშინაურეს.
ბ) ძაღლის ყველა თანამედროვე კავკასიური და ევროპული ჯიში მიტოქონდრიული დნმ-ით წინააზიურ მგელს ენათესავება.
გ) ცხენი კავკასიასა და ცენტრალურ ევროპაში შავიზღვისპირეთის სტეპებიდან გავრცელდა.
დ) აბრეშუმის ჭია კავკასიასა და ევროპაში ერთდროულად, ერთმანეთის დამოუკიდებლად, გავრცელდა.

შავი სამუშაოსათვის

მათემატიკური ნაწილი

რაოდენობრივი შედარება

	A	B	
41	$\frac{49.92}{1.6}$	$\frac{4992}{16}$	(ა) (ბ) (გ) (დ)
42	სხეულმა პირველ წამში გაიარა 1 მ, ხოლო ყოველ შემდეგ წამში 0,5 მ-ით მეტი ვიდრე წინა წამში სხეულის მიერ 3 წამში გავლილი მანძილი	5 მ	(ა) (ბ) (გ) (დ)
43	y ის x %	x ის y%	(ა) (ბ) (გ) (დ)
44	$x+2=y$ და $y-1=t$ **x**	**t**	(ა) (ბ) (გ) (დ)
45	ტომარა იწონის 0,72 ფუთს (1 ფუთი = 16 კგ) ტომრის წონა კგ-ში	11,06 კგ	(ა) (ბ) (გ) (დ)
46	 DB = 6, BE = 9, AD = 9 AC მონაკვეთის სიგრძე	6	(ა) (ბ) (გ) (დ)

ამოცანები

47. რამდენი მერვედია 1-ის $37\frac{1}{2}$% - ში?

ა) 3 ბ) 4 გ) 4,8 დ) 5 ე) 7

48. a, b, c, d ერთმანეთის მომდევნო ლუწი რიცხვებია. $a < b < c < d$. რამდენი ერთეულით აღემატება $c + d$ სიდიდე $a + b$ სიდიდეს?

ა) 2 ბ) 4 გ) 8 დ) 6 ე) 10

49. თითო ვაშლი ღირს 35 ცენტი ან 3 ვაშლი ერთად 1 დოლარი (1 დოლარი = 100 ცენტს). რამდენს მოვიგებთ თითო ვაშლში, თუ ვიყიდით 3-ს ერთად?

ა) 5 ცენტს ბ) 10 ცენტს გ) $\frac{3}{5}$ ცენტს დ) $1\frac{2}{3}$ ცენტს ე) $2\frac{1}{3}$ ცენტს

50. მოცემულ ნახაზზე AB = BC და BEA არის მართი კუთხე. DE მონაკვეთის სიგრძე 4-ჯერ მეტია BE მონაკვეთის სიგრძეზე. იპოვეთ Δ ACD ფართობის შეფარდება Δ ABC ფართობთან.



ა) 1 : 6 ბ) 1: 2 გ) 2 :1 დ) 4 :1 ე) შეუძლებელია დავადგინოთ

51. თუ $\frac{1}{2}+\frac{1}{8}-\frac{1}{4}-\frac{1}{6}=\frac{1}{x}$, მაშინ $x =$

ა) 0 ბ) 1 გ) $1\frac{1}{2}$ დ) $\frac{5}{24}$ ე) $4\frac{4}{5}$

მონაცემთა ანალიზი

არასამთავრობო ორგანიზაციამ შეამოწმა რამდენიმე ადგილობრივი და უცხოური ფირმის მიერ წარმოებული ხორცისა და თევზის კონსერვანტები იმის გასარკვევად, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ნორმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ცხრილში მოცემულია, როგორი უნდა იყოს ნორმით თითოეული ფირმის მიერ წარმოებული კონსერვის ცხიმიანობა და ენერგეტიკული ღირებულება, რა მაჩვენებელია მითითებული ეტიკეტზე და რისი ტოლია ისინი ფაქტობრივად. ასევე, მოცემულია კონსერვის ფაქტობრივი წონა და წონა ეტიკეტის მიხედვით.

	ფირმის დასახელება	ცხიმიანობა %			ენერგეტიკ. ღირებ. (კკალ/100გრ)			პროდუქციის წონა (გრ)	
		ნორმით (არანაკლებ)	ეტიკეტზე	ფაქტობრ.	ნორმით	ეტიკეტზე	ფაქტობრ.	ეტიკეტზე	ფაქტობრ.
ადგილობრივი	კუმისი	56	70	66	170-233	302	180	325	325
	ფარავანი	56	56	48	170-233	213	213	325	340
	გური	25	36	36	145-150	145	140	240	239
უცხოური	კენი	56	68	64	170-233	220	214	525	530
	სალიო	25	30	38	145-150	180	183	240	245
	ბალატონი	56	58	52	83-103	65	71	325	300

ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ 2 შეკითხვას:

52. რამდენია ისეთი ფირმა, რომელთა მიერ წარმოებული კონსერვის ცხიმიანობის ფაქტობრივი მაჩვენებელი გათვალისწინებულ მინიმალურ მაჩვენებელზე მეტია, მაგრამ ნაკლებია ეტიკეტზე მითითებულ მაჩვენებელზე?

(ა) არც ერთი (ბ) 1 (გ) 2 (დ) 3 (ე) 4

53. დასაშვებია, რომ კონსერვის ფაქტობრივი წონა მაქსიმუმ 3%-ით განსხვავდებოდეს ეტიკეტზე მითითებული წონისაგან. რომელია ის ფირმები, რომელთა მიერ წარმოებული კონსერვი <u>არ აკმაყოფილებს</u> ამ მოთხოვნებს?

(ა) „ბალატონი“ და „ფარავანი“ (ბ) „კუმისი“ და „კენი“
(გ) „კუმისი“ და „გური“ (დ) „ სალიო“ და „კენი“ (ე) „ბალატონი“ და „გური“

ამოცანები

54. ერთი მილი ავსებს ავზს 8 საათში, ხოლო მეორე მილი იგივე ავზს - 12 საათში. რამდენ საათში აივსება ავზი თუ ორივე მილი ერთდროულად იმუშავებს.

ა) $4\frac{1}{5}$ სთ ბ) $4\frac{2}{5}$ სთ გ) $4\frac{3}{5}$ სთ დ) $4\frac{4}{5}$ სთ ე) 5 სთ

55. x -ის 10% -ით გაზრდა გვაძლევს y -ს. y -ის 50% -ით შემცირება გვაძლევს z. z -ის 40%-ით გაზრდა გვაძლევს t -ს. x -ის რამდენ % -ს შეადგენს t?

ა) 10% ბ) 33% გ) 77% დ) 81% ე) 100%

56. მართკუთხედის სიგრძე და სიგანე შესაბამისად 12 სმ და 8 სმ-ია. მართკუთხედის წვეროებზე შემოხაზულია წრეწირები, რომელთა რადიუსებია 2 სმ. იპოვეთ მთლიანი ფიგურის ფართობი.



ა) $(96+12\pi)$ სმ² ბ) 12π სმ² გ) $(12+8\pi)$ სმ² დ) 16π სმ² ე) 12π სმ²

57. მაკას 2-ჯერ ნაკლები წიგნი აქვს, ვიდრე ნანას და 4-ჯერ მეტი, ვიდრე ნინოს. სამივეს ერთად 70-ზე ნაკლები წიგნი აქვს. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს მაკას წიგნების რაოდენობა?

ა) 16 ბ) 18 გ) 22 დ) 24 ე) 28

58. a, b და c რიცხვების შესახებ ცნობილია, რომ ერთი დადებითია, მეორე უარყოფითი, მესამე ნული და შემდეგი ორი პირობა:

I. $a < b,\ c < b$
II. $a^2 = b^2(b-c)$

იმის დასადგენად, თუ რომელი რიცხვია დადებითი, რომელი უარყოფითი და რომელი ნული
ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.
ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.
გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი.
დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.
ე) ეს ორი პირობა არ არის საკმარისი. საჭიროა დამატებითი პირობები.

59. თუ მატარებელი d კილომეტრის ტოლ მანძილს გაივლის h საათში, მაშინ ის 2 საათით დააგვიანებს. რა სიჩქარით უნდა იაროს მატარებელმა, რომ დროულად ჩავიდეს დანიშნულების ადგილზე?

ა) $h-2$ ბ) $\frac{d}{h}-2$ გ) $\frac{d}{h-2}$ დ) $dh-2$ ე) $\frac{d}{h+2}$

60. რას უდრის $(a+b-x)+(c+d-y)+(e+f-z)+(g+h-w)$?



ა) 360 ბ) 180 გ) 0 დ) 540 ე) 300

რაოდენობრივი შედარება

	A	B	
61	ნებისმიერი a რიცხვისათვის a^*-ით აღნიშნულია a-ზე მეტი უმცირესი მთელი რიცხვი, ხოლო $a^\#$-ით - a-ზე ნაკლები უდიდესი მთელი რიცხვი.	$(7^* + 1)^\#$	$(9^\# - 1)^*$	(ა) (ბ) (გ) (დ)
62		a	b	(ა) (ბ) (გ) (დ)
63	$0 < a < x$ $0 < b < y$	$\frac{x+a}{y-b}$	$\frac{x-a}{y+b}$	(ა) (ბ) (გ) (დ)
64		ცილინდრის მოცულობა რომლის დიამეტრია 2 და სიმაღლე 4	მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობა რომლის განზომილებებია 2×2×4	(ა) (ბ) (გ) (დ)
65	მიმდევრობის პირველი წევრია სამი, მისი ყოველი წევრი მომდევნოზე 2-ით ნაკლებია.	ამ მიმდევრობის პირველი რვა წევრის ჯამის საშუალო არითმეტიკული	80	(ა) (ბ) (გ) (დ)
66		AB მონაკვეთის სიგრძე	8	(ა) (ბ) (გ) (დ)

ამოცანები

67. პირამიდა აგებულია მაგიდაზე დადებული 5 ×5×1 ფილისაგან, ამ პირველ ფილაზე დადებული 3 × 3× 1 განზომილების მქონე მეორე ფილისა და მეორე ფილაზე დადებული 1× 1×1 განზომილების ბლოკისაგან. გამოთვალეთ ამ პირამიდის ზედაპირის ფართობი.



ა) 24 ბ) 61 გ) 52 დ) 66 ე) 64

68. $a=\frac{1}{x}$, $b=9a$, $c=\frac{1}{b}$, $d=9c$, $e=\frac{1}{d}$, $x=?$

ა) a ბ) b გ) c დ) d ე) e

69. დათო, გია, ნინო და ანა ერთი ქუჩის ერთი და იგივე მხარეს განლაგებულ სხვადასხვა სახლში ცხოვრობენ. დათოს თავისი სახლიდან გიას სახლამდე მისასვლელად 20 წუთი სჭირდება, ხოლო თავისი სახლიდან ანას სახლამდე მისვლას 16 წუთზე ნაკლებს ანდომებს. ნინოს სახლიდან ნანას სახლამდე მისასვლელად დათო 8 წუთს ხარჯავს, ხოლო გიას სახლიდან ანას სახლამდე 28 წუთს. რამდენ წუთში მივიდა დათო თავისი სახლიდან ნინოს სახლამდე?

ა) 10 წუთში ბ) 8 წუთში გ) 16 წუთში დ) 20 წუთში ე) 15 წუთში

70. ერთ ერთი ტომი რიცხვების ჩასაწერად იყენებდა შემდეგ აღნიშვნებს: ერთეულებს აღნიშნავდა - I , ოთხეულებს - V, ათეულებს - X. მაგ.: რიცხვ 36 -ს ტომის წარმომადგენლები წერდნენ ასე: XXXVII. როგორ ჩაწერდნენ ისინი XXXXVVI + XVVI ჯამს?

ა) XXXXXXVVI ბ) XXXXXXVIII გ) XXXXXVVVVII დ) VVVVXXII ე) IIIIIIVVX

მონაცემთა ანალიზი

გრაფიკზე წარმოდგენილია მონაცემები იმის შესახებ, თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თითოეული საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მოსწავლეთა რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენდა ამავე საფეხურის იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებსაც ხელოვნებასაც ასწავლიდნენ 2003 / 2004 - 2007 / 2008 სასწავლო წლებში. მაგალითად, გრაფიკის მიხედვით ვარკვევთ, რომ 2003 / 2004 სასწავლო წელს ხელოვნებას საბაზო სკოლის მოსწავლეთა 12% შეისწავლიდა.



დიაგრამაზე კი წარმოდგენილია მონაცემები იმის შესახებ, თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თითოეულ საფეხურზე ხელოვნების შემსწავლელ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენდა ცეკვის, მუსიკის, ხატვის, თუ ხელოვნების სხვა დარგების შემსწავლელ მოსწავლეთა რაოდენობები 2007 / 2008 სასწავლო წელს. მაგალითად, დიაგრამის მიხედვით ვარკვევთ, რომ 2007 / 2008 სასწავლო წელს დაწყებით სკოლაში ცეკვას შეისწავლიდა დაწყებით სკოლაში ხელოვნების შემსწავლელ მოსწავლეთა 40%.



71. რომელ სასწავლო წელს იყო ხელოვნების შემსწავლელ მოსწავლეთა წილი დაწყებით სკოლაში 2,5 -ჯერ მეტი, ვიდრე - საშუალო სკოლაში?

ა) 2003/2004 სასწავლო წელს | ბ) 2004 / 2005 სასწავლო წელს | გ) 2005 /2006 სასწავლო წელს | დ) 2006 /2007 სასწავლო წელს | ე) 2007 /2008 სასწავლო წელს

72. რამდენით ნაკლებია 2006 / 2007 სასწავლო წელს საბაზო სკოლაში ხელოვნების შემსწავლელ მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი წინა სასწავლო წლის შესაბამის მაჩვენებელზე?

ა) 1-ით | ბ) 2 -ით | გ) 3 -ით | დ) 4 -ით | ე) 5 -ით

73. ხელოვნების შემსწავლელ მოსწავლეთა რამდენი პროცენტი სწავლობდა მუსიკას დაწყებით სკოლაში 2007/2008 სასწავლო წელს?

ა) 10% | ბ) 20% | გ) 30% | დ) 40% | ე) 50%

74. საშუალო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენდა ხატვის შემსწავლელ მოსწავლეთა რაოდენობა 2007 / 2008 სასწავლო წელს?

ა) 1 % | ბ) 1,5 % | გ) 2 % | დ) 2.5 % | ე) 3 %

ამოცანები

75. ქიმიას სწავლობს 17 აბიტურიენტი, ფიზიკას - 22. ორივეს ერთად სწავლობს 7 აბიტურიენტი. რას უდრის შეფარდება იმ აბიტურიენტებისა, რომელიც სწავლობს მხოლოდ ფიზიკას, აბიტურინტებთან, რომლებიც სწავლობს მხოლოდ ქიმიას?

ა) 3:2 | ბ) 4:3 | გ) 7:6 | დ) 2 : 23 | ე) 34 :29

76. ΔMNP ში, კუთხე $\angle M = 65^0$ და $\angle P = 40^0$. Q არის MP გვერდზე აღებული წერტილი ისე, რომ $NQ \perp MP$. მოცემული მონაკვეთებიდან რომელი არის უმოკლესი?

ა) MN | ბ) NP | გ) PQ | დ) NQ | ე) MQ

77 . მოცემულ კვადრატებს გააჩნიათ საერთო A წვერო. თითოეულ შიგა კვადრატის ერთ-ერთი წვერო წინა კვადრატის ცენტრში მდებარეობს. ფიგურის ფართობის რა ნაწილია გამუქებული?



ა) $\frac{3}{4}$ ბ) $\frac{3}{5}$ გ) 30 დ) $\frac{3}{16}$ ე) 40

78. რძის ქარხანაში 30 ცალი ერთ ლიტრიანი რძის ქილა ივსება 90 წამში . რამდენი წუთი დაჭირდება 90 ასეთი რძის ქილის ავსებას?

ა) 1 ბ) 3 გ) 3.5 დ) 4 ე) 4.5

79. ერთი კვირის შემდეგ მართკუთხა პარალელეპიპედის საპნის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე ორჯერ შემცირდა. კიდევ რამდენი დღე გვეყოფა ეს საპონი?

ა) 7 დღე ბ) 5 დღე გ) 3 დღე დ) 1 დღე ე) 2 დღე

80. ერთ ყუთში 2 თეთრი და 10 შავი ბურთია, მეორეში კი 8 თეთრი და 4 შავი. თითოეული ყუთიდან იღებენ თითო ბურთს. როგორია ალბათობა იმისა, რომ ამოღებული ბურთებიდან ორივე თეთრია?

ა) $\frac{5}{12}$ ბ) $\frac{1}{6}$ გ) $\frac{1}{7}$ დ) 1 ე) $\frac{1}{9}$